



**Cour
Pénale
Internationale**

**International
Criminal
Court**

ICC-PIDS-FS-01-006/16_Kat

ICC - სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო ეობი მეხედვით



ფოტო: სიმონ ბოში

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო (ICC), რომელიც მოქმედებს რომის წესდების საფუძველზე, არის პირველი, საერთაშორისო ხელშეკრულებაზე დაფუძნებული, საერთაშორისო სისხლის სამართლის მუდმივი სასამართლო, დაარსებული საერთაშორისო საზოგადოებისთვის ყველაზე სერიოზულ დანაშაულებებში დამრღვევების დაუსჯელობასთან ბრძოლის მიზნით. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო არის დამოუკიდებელი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემაში არ შემავალი, საერთაშორისო ორგანიზაცია. სასამართლო მდებარეობს ნიდერლანდებში, ქალაქ ჰააგაში. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს დაფინანსება ძირითადად ხორციელდება რომის წესდების წევრი-სახელმწიფოების მიერ, სასამართლო აგრეთვე ღებულობს სახელმწიფოების მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, კერძო პირების, კორპორაციების, და სხვა მხარეების ნებაყოფლობით შენატანებს.

საერთაშორისო საზოგადოება დიდ ხანს ისწრაფოდა მუდმივი საერთაშორისო სასამართლოს დაარსებისკენ, და მეოცე საუკუნეს განმავლობაში მიაღწია კონსენსუსს გენოციდის, დანაშაულებების კაცობრიობის წინაშე, და სამხედრო დანაშაულებების განსაზღვრის საკითხში. ნიურნბერგის და ტოკიოს პროცესების ფარგლებში მოხდა მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში ჩადენილი დანაშაულებების მშვიდობის წინაშე, კაცობრიობის წინაშე, და სამხედრო დანაშაულებების განხილვა. ცივი ომის დამთავრების შემდეგ, 90-ან წლებში დაწესებული ტრიბუნალები - ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი, და რუანდის ტრიბუნალი, წარმოადგენდნენ დაუსჯელობის მიუღებლობის კონსენსუსის რეზულტატს. მაგრამ, რადგანაც ამ ტრიბუნალების კომპეტენციაში შედიოდნენ მხოლოდ გარკვეული კონფლიქტების დროს და გარკვეული დროის პერიოდში ჩადენილი დანაშაულებები, არსებობდა ზოგადი კონსენსუსი დამოუკიდებელი მუდმივი

სისხლის სამართლის სასამართლოს დაარსების აუცილებლობის შესახებ. 1998 წლის 17 ივლისს საერთაშორისო საზოგადოებამ ისტორიული ნაბიჯი გადადგა მაშინ, როცა 120-მა სახელმწიფომ მიიღო რომის წესდება - სამართლებრივი საფუძველი მუდმივი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დაარსებისთვის. 2002 წლის 1 ივლისს, 60 სახელმწიფოს მიერ რატიფიცირების შემდეგ, რომის წესდება ძალაში შევიდა.

იურისდიქცია

ICC-ს იურისდიქციას ექვემდებარებიან, 2002 წლის 1 ივლისის შემდეგ ჩადენილი, მთელი საერთაშორისო საზოგადოების თვალსაზრისით, ყველაზე მეტად სერიოზული დანაშაულებები, უშუალოდ: გენოციდი, დანაშაულებები კაცობრიობის წინაშე და სამხედრო დანაშაულებები. ყოველი ასეთი დანაშაული არაორაზროვნად განსაზღვრულია რომის წესდებაში, და სხვა შესაბამის ტექსტებში. კამპალაში (უგანდა), რომის წესდების ანალიზის კონფერენციაზე, 2010 წელში მიღებული წინაპირობების შესრულების შემდეგ, სასამართლოს იურისდიქცია აგრეთვე გავრცელდება აგრესიის დანაშაულზე. მოცემული საერთაშორისო დანაშაულებები ექვემდებარებიან სასამართლოს იურისდიქციას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული ჩადენილია წევრი-სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ან წევრი-სახელმწიფოს მოქალაქის მიერ. ეს წესი არ მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს პროკურორს, გარკვეული სიტუაციის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო მიმართავს, რომლის რეზოლუციებს აქვთ სავალდებულო ძალა ყველა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი-სახელმწიფოსთვის, ან იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო აღიარებს სასამართლოს იურისდიქციას.

სასამართლო დაარსებულია, როგორც ეროვნული სისხლის სამართლებრივი მართალმსაჯულობის

სისტემების გაგრძელება, და არა მათ ნაცვლად. სასამართლო განიხილავს საქმეებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეროვნული სისხლის სამართლებრივი მართალმსაჯულობის სისტემები საქმის შესაბამის განხილვას არ ჩაატარებენ, ან როდესაც, მათი ინფორმაციით, ისინი ამდონისძიებებს ატარებენ, მაგრამ რეალობაში მათ არ გააჩნიათ სურვილი, ან უნარი ნამდვილი საგამომძიებლო ღონისძიებების ჩატარებისათვის. სასამართლოს მოქმედების ეს ფუნდამენტალური პრინციპი ცნობილია, როგორც კომპლემენტარულობის პრინციპი.

გამომძიების დაწყებისთვის პროკურორს გააჩნია სამი პროცედურა:

- როდესაც რომის წესდების წევრი-სახელმწიფოები პროკურორს ატყობინებენ გარკვეული სიტუაციის შესახებ;
- როდესაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო პროკურორს მიმართავს შუამდგომლობით გამომძიების დაწყების შესახებ;
- პროკურორის ოფისს აგრეთვე გააჩნია უფლება დაიწყოს გამოძიება საკუთარი ინიციატივით (*proprio motu*, Lat.), სანდო წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. ამ შემთხვევაში, გამომძიების დაწყებამდე პროკურორმა გამომძიების დაწყების უფლებამოსილების შუამდგომლობით უნდა მიმართოს წინასასამართლო პალატას, რომელსაც შემადგენლობაში შედის სამი დამოუკიდებელი მოსამართლე.

ხელშეუხებლობის არარსებობა

სახელმწიფოს მეთაურის, მთავრობის, ან პარლამენტის წევრის, არჩეული წარმომადგენლის, ან თანამდებობის პირის ფუნქციების შესრულება, არ გამოირიცხავს სისხლისსამართლებრივ დევნას და პასუხისმგებლობას. ხელმძღვანელი, ან სამხედრო ოფიცერი შეიძლება ჩაითვალოს პასუხისმგებლად თუ კი დანაშაული ჩადენილია ფაქტობრივად მის განკარგულებაში მყოფი პიროვნების მიერ. მაგრამ ICC-ს იურისდიქცია არ ვრცელდება პიროვნებებზე, რომლებმაც სავარაუდო დანაშაულის ჩადენის მომენტში ჯერ არ მიაღწიეს 18 წლის ასაკს.

დაზარალებულთა და ბრალდებულთა უფლებები

ICC-ს წესდების შესაბამისად, დაზარალებულებს აქვთ პროკურორის სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ დანაშაულებებზე ინფორმირების უფლება. საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი მართალმსაჯულობის ისტორიაში პირველად, დაზარალებულებს ეძლევათ პროცესში მონაწილეობის, და კომპენსაციის მოთხოვნის უფლება. ეს ნიშნავს, რომ მათ გააჩნიათ არა მხოლოდ მოწმის ჩვენების მიცემის უფლება, მათ აგრეთვე აქვთ უფლება გამოხატონ მათი დამოკიდებულება და თვალსაზრისი პროცესის ყველა სტადიაზე. მათ აქვთ იურიდიული წარმომადგენლობის, და პოტენციურად, იურიდიული დახმარების მიღების უფლება.

სასამართლოს კანცელარია ეხმარება დაზარალებულებს და მოწმეებს მათი უფლებების განხორციელებაში, მათ მხარს უჭერს მთლიანი სასამართლო პროცესის განმავლობაში, და საჭიროების შემთხვევაში, ზომებს იღებს მათი ფიზიკური დაცვისთვის. სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დაზარალებულს მიაწოდოს სხვადასხვა სახის ანაზღაურება, მაგალითად: ზარალის ანაზღაურება, რეაბილიტაცია და კომპენსაცია

იმ შემთხვევისთვის, როდესაც გასამართლებულს არ გააჩნია აქტივები მსხვერპლის ზარალის ანაზღაურებისათვის, რომის წესდების წევრი-სახელმწიფოებმა დააარსეს მიზნობრივი ფონდი სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულებების მსხვერპლების, და მსხვერპლების ოჯახის წევრებისთვის, რათა მათ მაინც ჰქონდეთ გარკვეული ფორმით ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა.

ობიექტური პროცესის და ეფექტური მართალმსაჯულობის განხორციელებისათვის აუცილებელია ბრალდებულთა უფლებების დაცვა. სასამართლოს კანცელარია აგებს პასუხის იურიდიული დაცვის საკითხებზე და შესაბამისად ადვოკატთა სია შეადგინა. პროცედურის და მტკიცებულების წესების შესაბამისად, რეესტრში შეტანილ ადვოკატებს უნდა ჰქონდეთ სასამართლოს წინაშე პრაქტიკისთვის აუცილებელი კომპეტენციები, და მათ უნდა იმოქმედონ ადვოკატთა პროფესიონალური ქცევის კოდექსის შესაბამისად. იურიდიული დაცვის ჯგუფებს ICC უწევს ლოგისტიკურ მხარდაჭერას და, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსურ დახმარებასაც.

სასამართლოს ორგანოები

სასამართლოს ხელმძღვანელობა

სასამართლოს ხელმძღვანელობის შემადგენლობაში შედის თავმჯდომარე, და მისი ორი მოადგილე. თავმჯდომარის და მისი მოადგილეების ამორჩევა ხორციელდება ICC-ს 18 მოსამართლის სიიდან. სასამართლოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მთელი სასამართლოს სათანადო მართვაზე, პროკურორის ოფისის გარდა. მაგრამ საერთო ინტერესების ყველა არეში კონსენსუსის მიღწევის მიზნით, სასამართლოს ხელმძღვანელობა ყოველთვის ახორციელებს კოორდინირებას პროკურორის ოფისთან. ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია სასამართლოს

მართალმსაჯულობის ფუნქციებზე და საგარეო ურთიერთობებზე.

სასამართლოს სამი, - წინასასამართლო, სასამართლო პროცესის, და სააპელაციო განყოფილების შემადგენლობაში შედის 18 მოსამართლე. მაღალი მორალური თვისებების და პატიოსნების მქონე სასამართლოს მოსამართლეების ამორჩევა ხორციელდება კანდიდატთა სიიდან, რომელიც შეიცავს კანდიდატებს მსოფლიოს ყველა კუთხიდან. მოსამართლეებს ამორჩევა ხორციელდება წევრი-სახელმწიფოების ასამბლეის მიერ, სისხლისსამართლებრივი, და პროცესუალური

კომპეტენციის, და საერთაშორისო სამართლის შესაბამის არეებში (როგორც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებები) კომპეტენციის საფუძველზე. მოსამართლეები აგებენ პასუხს სასამართლო პროცესის ობიექტურობაზე, და მართალმსაჯულობის სათანადო განხორციელებაზე.

პროკურორის ოფისი (OTP)

პროკურორის ოფისს მართავს პროკურორი, მის მოადგილესთან ერთად. ორივეს ამორჩევა ხორციელდება წევრი-სახელმწიფოების ასამბლეით. პროკურორის უფლებამოსილება მდებარეობს წარდგენების და ინფორმაციის მიღებაში და ანალიზში იმის დასადგენად, არსებობს თუ არა მართებული საფუძველი გამოძიების დაწყებისთვის, სამხედრო დანაშაულებების, დანაშაულებების კაცობრიობის წინაშე და გენოციდის დანაშაულის გამოძიებისთვის, და ამ დანაშაულებებზე პასუხისმგებელი პირების სისხლისსამართლებრივი

დევენისთვის. OTP წარმოადგენს სასამართლოს დამოუკიდებელ ორგანოს.

სასამართლოს კანცელარიას მართავს რეგისტრატორი, მის მოადგილესთან ერთად. კანცელარიის ძირითადი ფუნქცია მდებარეობის მოსამართლეების და პროკურორის ოფისის ადმინისტრაციულ და ოპერაციულ მხარდაჭერაში. კანცელარიას აგრეთვე გააჩნია საკუთარი ფუნქციები, როგორც იურიდიული დაცვა, დაზარალებულთა მხარდაჭერა, უშიშროება, და კომუნიკაცია. კანცელარია ემსახურება სასამართლოს უზრუნველყოფას, და წესდების და პროცედურის და მტკიცებულების წესების შესაბამისად, დაზარალებულთა, მოწმეთა, და ბრალდებულთა იურიდიული მხარდაჭერის ეფექტური მექანიზმების გამომუშავებას, მათი უფლებების დაცვის მიზნით.

წევრი-სახელმწიფოების ასამბლეა (ASP)

წევრი-სახელმწიფოების ასამბლეა ახორციელებს ზედამხედველობას სასამართლოს მმართველობაზე, წარმოადგენს სასამართლოს საკანონმდებლო ორგანოს, და შედგება იმ სახელმწიფოების წარმომადგენლებისგან, რომლებმაც მოახდინეს რომის წესდების რატიფიცირება, ან შეუერთდნენ რომის წესდებას. წევრი-სახელმწიფოების ასამბლეას გააჩნია ბიურო, რომელშიც შედის თავმჯდომარე, ორი თავმჯდომარის მოადგილე და 18 წევრი, რომლების სამი წლის ვადით ამორჩევა ხორციელდება ასამბლეის მიერ, სამართლიანი გეოგრაფიული განაწილების და მსოფლიოს ყველა მთავარი მართალმსაჯულობის სისტემის შესაბამისი წარმომადგენლობის პრინციპების შესაბამისად. ბიუროს მუდმივი სამდივნო, სასამართლოს შტაბ-ბინასთან ერთად, მდებარეობს ქალაქ ჰააგაში. წევრი-სახელმწიფოების ასამბლეა იღებს გადაწყვეტილებებს სახვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, როგორც ნორმატიული ტექსტების და ბიუჯეტის მიღება, და მოსამართლეების, პროკურორის, და პროკურორის მოადგილეების ამორჩევა.